საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

14/06/2022
N 983

983-09-02-11-3-202206141540

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№09-01-08/29, 19.05.2022)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა 2022 წლის 14 ივნისის სხდომაზე გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განიხილა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების დავით გაბაიძის, მარინე გვიანიძის, ფრიდონ ფუტკარაძის, ცოტნე ანანიძის, ილია ვერძაძის, დავით ბაციკაძის და ტიტე არუშიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№09-01-08/29, 19.05.2022).

I. საკანონმდებლო პაკეტის ძირითადი არსი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია უსკო.

2021 წელს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლის მიზანიც იყო, საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცალკეული ხარვეზების აღმოფხვრა და მასში ეუთო/ოდირის რეკომენდაციების ასახვა.

აღნიშნული რეფორმის ფარგლებში, ერთ-ერთი სიახლე იყო საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა რგოლის, მათ შორის ცესკოს, როგორც პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული წევრების, ასევე პარტიების მიერ დანიშნული წევრების რიცხოვნობის გაზრდა. გარდა ცესკოს შემადგენლობისა გაიზარდა ქვედა დონის (საოლქო და საუბნო) საარჩევნო კომისიებში ასარჩევი/დასანიშნი წევრების რაოდენობაც. 2021 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა რგოლის საარჩევნო კომისიის (ცესკო, საოლქო კომისია, საუბნო კომისია) შემადგენლობა 12-დან 17 წევრამდე გაიზარდა. რეფორმის შედეგად, ცესკოში 8 წევრის არჩევა ხდება პროფესიული ნიშნით, ხოლო 9 წევრს ნიშნავენ უფლებამოსილი პოლიტიკური პარტიები.

გამომდინარე იქედან, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საარჩევნო კომისიები და მათ შორის უსკოც საარჩევნო ადმინისტრაციის ნაწილია, საკანონმდებლო პაკეტით შემოთავაზებულია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით საარჩევნო კომისიებში (უსკო, საოლქო საარჩევნო კომისია, საუბნო საარჩევნო კომისია) წევრთა იგივე რაოდენობის განსაზღვრა, როგორც ეს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საარჩევნო კომისიებისთვის არის დადგენილი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტით გათვალისწინებულია, რომ უსკოს წევრთა რაოდენობა იყოს ცესკოს წევრთა რაოდენობის იდენტური იმ განსხვავებით, რომ უსკოს რიცხოვნობის ზრდა არასაარჩევნო პერიოდში მოხდეს მხოლოდ პროფესიული ნიშნით დასაკომპლექტებელი შემადგენლობისათვის, ხოლო პარტიების მიერ უსკოს წევრების დანიშვნა მოხდეს მხოლოდ საარჩევნო პერიოდში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტის თანახმად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-11, მე-13, მე-19, 24-ე და 25-ე მუხლებში შედის შესაბამისი ცვლილებები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 141-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის მიხედვითაც, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, უმაღლეს საბჭოში წარადგენს უსკოს თავმჯდომარეობის 1 და წევრობის 7 კანდიდატს.

II. კანონის პროექტთან დაკავშირებით საკომიტეტო განხილვამდე გამოთქმული მოსაზრება/შენიშვნა

კანონის პროექტთან დაკავშირებით საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტში (წამყვანი კომიტეტი) წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის, ასევე უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნები. საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით წამყვან კომიტეტში ასევე წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წერილი. ზემოაღნიშნულ სუბიექტებს საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნიათ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანხმობა საკანონმდებლო პაკეტით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელების თაობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე, საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით კომენტარის სახით მოსაზრება/შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

III. საკანონმდებლო პაკეტის შეფასება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტთან - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტთან - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

დასკვნითი ნაწილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების - დავით გაბაიძის, მარინე გვიანიძის, ფრიდონ ფუტკარაძის, ცოტნე ანანიძის, ილია ვერძაძის, დავით ბაციკაძის და ტიტე აროშიძის მიერ ინიცირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვისათვის მომზადებულად მიიჩნია.

პატივისცემით,
ვლადიმერ მგალობლიშვილი

კომიტეტის თავმჯდომარე